საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 2 ივნისის
დადგენილება №2424

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
„კავკასიამცოდნეობის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ივანე ჯაგოდნიშვილის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „კავკასიამცოდნეობა“;
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „კავკასიამცოდნეობის“ ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი ნანა ერგემლიძე.

დადგენილებას თან ერთვის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 10 მაისის სხდომის №6 ოქმი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 2 ივნისის დადგენილება №2424-ის
დანართი

ამონაწერი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 10 მაისის **სხდომის**
ოქმი № 6

სხდომას უძღვებოდა: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი.
სხდომას ესწრებოდა 79 წევრი, აქედან აკადემიური პერსონალი 48 და სტუდენტი 31.

დღის წესრიგი:

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა **„კავკასიამცოდნეობის“** განხილვა

(მომხს. პროფესორი ნანა ერგემლიძე)

1. **მოისმინეს:**

პროფესორ ნანა ერგემლიძის მოხსენება **მაგისტრატურის** საგანმანათლებლო პროგრამის **„კავკასიამცოდნეობის“** შესახებ. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებსაც მიღებული ექნებათ საფუძვლიანი და კომპლექსური ცოდნა როგორც კავკასიოლოგიის ტრადიციულ სამეცნიერო, ისე ზოგად პოლიტიკურ-ეკონომიკურ დარგებში; გაცნობიერებული ექნებათ საკუთარი პროფესიის სტრატეგიული მნიშვნელობა; შეეძლებათ რელიგიისა და ეთნოკულტურული ფაქტორების როლის განსაზღვრა კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში; გაცნობიერებული ექნებათ რეგიონის ფუნქცია და პერსპექტივები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში; დახელოვნებულები იქნებიან პოლემიკურ ოსტატობაში და გამომუშავებული ექნებათ უნარები, აქტიურად ჩაერთონ მსოფლიო ისტორიაში კავკასიური ცივილიზაციის როლის გარკვევასა და მსოფლიოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ რუკაზე კავკასიის ადგილის განსაზღვრაში.

კურსდამთავრებულს საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში მიენიჭება **კავკასიური კვლევების მაგისტრის (Master of Caucasian Studies) კვალიფიკაცია.**

პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება იმუშაოს მასმედიაში, სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურებში, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საზღვრისპირა ორგანიზაციებში, ძალოვან სტრუქტურებში, საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამშვიდობო მისიებში, სამეცნიერო კვლევით და ანალიტიკურ ტრენინგ ცენტრებში, პოლიტიკურ პარტიებსა და საინფორმაციო სააგენტოებში, საელჩოებში.

შენიშვნა არავის გამოუთქვამს.

ღია კენჭისყრით, წარმოდგენილ პროგრამას მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს:

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა **„კავკასიამცოდნეობია“** წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ივ. ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: აკაკი გვარუციძე